საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-8/5101
17/05/2022

5101-15-8-2-202205171253

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წინადადება

მოქალაქე [redacted] მინდობილობის დამოწმების უზრუნველყოფის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

2022 წლის 19 აპრილს საჯაროდ გავრცელდა ინფორმაცია, რომ [redacted] მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი და პარტია „[redacted]" ერთ-ერთი დამფუძნებელი [redacted] არის ბრალდებული და აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა, რა დროსაც, საგამოძიებო ორგანოს მხრიდან, უხეშად და არაკანონიერად ირღვევა მისი საკუთრების უფლება.[1]

[1] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3kEjIkH > [ბოლოს ნანახია: 04.05.2022].

ფაქტობრივი გარემოებები

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, [redacted] და მისი ნათესავების მიმართ წარდგენილი ბრალი ეხება მიწის ნაკვეთების დარეგისტრირებას, რომელსაც ისინი 16-17 წლის განმავლობაში ფლობდნენ მართლზომიერად. ამასთან, სადავო მიწის ნაკვეთებს, საქმის დასრულებამდე, დადებული აქვს ყადაღა.

გამომძიებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა [redacted] უარი განუცხადა მინდობილობის დამზადებაზე. მინდობილობის დამზადების მიზანს წარმოადგენდა [redacted] მიერ საკუთარი ბიზნესის მართვისა და კრედიტორებთან ურთიერთობის ოჯახის წევრებისთვის გადანდობა. ამასთან, მინდობილობას კავშირი არ აქვს განსახილველ საქმესთან.

წარმოდგენილ ინფორმაციასთან ერთად გავრცელდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს წერილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციური დაწესებულებისადმი და N8 პენიტენციური დაწესებულების წერილი [redacted] ადვოკატისადმი.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა [redacted] ადვოკატს აცნობა, რომ მისთვის მინდობილობის დამზადება ვერ მოხერხდება, რადგან ანტიკორუფციული სააგენტოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის წერილით, ბრალდებულს აეკრძალა მინდობილობების ან სხვა დოკუმენტის გაცემა/დამოწმება.[2]

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) წერილის თანახმად, სააგენტოს წარმოებაში არის სისხლის სამართლის N089190821003 საქმე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის, სამსახურებრივი სიყალბის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ჯგუფურად ჩადენილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ამავე წერილით, გამომძიებელი [redacted] N8 პენიტენციურ დაწესებულებას მიუთითებს, რომ ვინაიდან, საქმეზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, ბრალდებულების მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების მიზნით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეუწონელია [redacted] (ბ/ნ: [redacted]) მინდობილობების/მინდობილობის, ან სხვა ნებისმიერი დოკუმენტის დამოწმება.[3]

სამართლებრივი დასაბუთება

---

[2] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციური დაწესებულების 2022 წლის 14 აპრილის N106477/24 წერილი.

[3] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2022 წლის 11 აპრილის NSSG 7 22 00057716 წერილი.

საქართველოს კონსტიტუცია იცავს საკუთრების უფლებას. კონსტიტუციის თანახმად, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია საჯარო მიზნებისათვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით.[4]

საკუთრების ძირითად უფლებას აღიარებს ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, საკუთრების ძირითადი უფლება მოიცავს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ვალდებულებებს, რაც სახელმწიფოს ავალდებულებს, შექმნას იმგვარი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის შესაძლებლობას. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ნაკლებად მძიმე დანაშაულების შემთხვევაშიც კი, პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის კუთხით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, როდესაც ადგილი აქვს აშკარა და სერიოზულ ნაკლს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ეტაპზე.[5]

მაშინაც კი, როდესაც საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლებაში ჩარევას ადგილი აქვს კერძო პირის მხრიდან, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს, უზრუნველყოს იმგვარი სამართლებრივი სისტემა, სადაც საკუთრების უფლება სათანადოდ დაცულია კანონით და ითვალისწინებს დაზარალებულისათვის უფლების აღდგენის ადეკვატურ შესაძლებლობებს.[6] აღნიშნული ვალდებულება მით უფრო მოქმედია მაშინ, როდესაც საკუთრების უფლებაში უხეშ ჩარევას სახელმწიფო ორგანოს მიერ აქვს ადგილი. ამგვარად, ზომები, რომელთა მიღებაც შეიძლება სახელმწიფოს აღნიშნულ კონტექსტში დაეკისროს, შესაძლოა, იყოს პრევენციული ან აღდგენითი ხასიათის.[7]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს ანიჭებს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას.[8] ამავე

---

[4] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19, პუნქტ. 1-3.

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Blumberga v. Latvia, 70930/01, 14/10/2008, პარა. 67.

[6] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Kotov v. Russia [GC], 54522/00, 03/04/2012, პარა. 113.

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Saraç and Others v. Turkey, 23189/09, 30/03/2021, პარა. 73.

[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ.10, ნაწ.2.

კოდექსის თანახმად, ფიზიკურ პირს სრულწლოვანების მიღწევისთანავე წარმოეშობა ქმედუნარიანობა, რომლის საფუძველზე იგი უფლებამოსილი ხდება თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები.[9] პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არის დასაშვები.[10]

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს დავალების ხელშეკრულებას, რომლითაც „რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე".[11] გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით არის შესაძლებელი, ხოლო წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე წარმოიშობა.[12] მინდობილობა წინ უსწრებს გარკვეულ შეთანხმებას უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე, ან პირიქით. აღნიშნულის ყველაზე გავრცელებული სახეა დავალების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, რწმუნებული მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით გარკვეული ქმედების განხორციელების ვალდებულებას იღებს.

„ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ დაწესებულების დირექტორის მიერ, უთანაბრდება სანოტარო წესით დადასტურებულ დოკუმენტებს.[13] კანონი ადგენს შემთხვევებს, რა დროსაც დაუშვებელია სანოტარო მოქმედების შესრულება:

- სანოტარო მოქმედების შესრულება საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება;
- მოქმედებათა შესასრულებლად წარმოდგენილი დოკუმენტები დადგენილ მოთხოვნებს არ შეესაბამება, ან პირთა პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს შეიცავს, ან ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;
- სანოტარო მოქმედების მონაწილე არ არის უფლებამოსილი პირი ან ქმედუნარიანი, ან სანოტარო მოქმედების შესრულების შესახებ თხოვნა შემოსულია იმ ენაზე, რომელსაც ნოტარიუსი არ ფლობს, და არ არის თარჯიმნის გამოყენების შესაძლებლობა.[14]

ცხადია, განსახილველ შემთხვევაში რელევანტური შეიძლება იყოს მხოლოდ პირველი საფუძველი - თუ კანონმდებლობა ითვალისწინებს კონკრეტული სანოტარო მოქმედების, ამ შემთხვევაში, მინდობილობის, დამოწმების შეზღუდვას ან აკრძალვას.

---

[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 12, ნაწ. 1.
[10] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 13.
[11] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 709.
[12] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 103, ნაწ. 1.
[13] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ", მუხ. 43, პუნქტ. 1, ქვეპუნქტ. „ე".
[14] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ", მუხ. 52, პუნქტ. 1.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მინდობილობის დამოწმების შეზღუდვას. ქონებრივი ხასიათის გარიგებებთან დაკავშირებით, კოდექსი ითვალისწინებს კონკრეტულ ქონებაზე ტრანზაქციის შეზღუდვის საპროცესო საფუძველს - ყადაღის დადების სახით. კოდექსის თანახმად, საპროცესო იძულების ღონისძიების - ქონების შესაძლო ჩამორთმევის - უზრუნველსაყოფად, სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ამასთან, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას.[15]

საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ყადაღის მოქმედების ფარგლებსაც - ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე ქონებით სარგებლობას.[16] კოდექსი ასევე განსაზღვრავს ქონების მოცულობას, რომელსაც შეიძლება ან არ შეიძლება დაედოს ყადაღა.[17]

წინამდებარე საქმის ანალიზი

შესწავლილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა 2022 წლის 11 აპრილს მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და მიუთითა, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდულიყო [redacted] მინდობილობების ან სხვა დოკუმენტების დამოწმება. წერილის საფუძველზე, N8 დაწესებულების დირექტორმა [redacted] მინდობილობის დამზადების უფლება შეზღუდა.

როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დავალების (მინდობილობის) ხელშეკრულების დადების/დამოწმების უფლების შეზღუდვას. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მინდობილობით შესაძლოა ნებისმიერი ტიპის გარიგების დადების უფლების სხვა პირზე გადანდობა, რაც განუსაზღვრელი ოდენობისა და შინაარსის სამართლებრივი ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მინდობილობის მეშვეობით გარიგების დადებისას პირი „ა) გამოხატავს საკუთარ ნებას, ბ) ამას იგი აკეთებს სხვისი სახელით, გ) უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს".[18]

---

[15] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151, ნაწ. 1.
[16] იქვე. მუხ. 152, ნაწ. 1.
[17] იქვე. მუხ. 153, ნაწ. 1.
[18] სერგი ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, (რედ: ლადო ჭანტურია), 2017, 592.

ამრიგად, მინდობილობის დადების განუსაზღვრელი დროითა და მოცულობით შეზღუდვა რეალურად პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვაა, რადგან მას ერთმევა საშუალება, სხვა პირის მეშვეობით განახორციელოს ყველა სამართლებრივი გარიგება, რომლის განხორციელების უფლება მას კანონმდებლობიდან გამომდინარე გააჩნია. სწორედ ამიტომ, არც სამოქალაქო კოდექსი[19] და არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მინდობილობის გაცემის უფლების შეზღუდვას. ამის ნაცვლად, აღნიშნული კოდექსები ითვალისწინებენ კონკრეტული გარიგების დადების უფლების შეზღუდვას.

წინამდებარე შემთხვევაში, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულს სრულად აქვს შეზღუდული კონკრეტული გარიგების დადების უფლება - ყადაღის პირობებში, მას არ შეუძლია, დადოს რაიმე ტიპის გარიგება სადავო ქონებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო ორგანო მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივ ქონებას წარმოადგენს სხვა ქონებაც, შესაძლებელი იქნება ყადაღის დადება ამ ქონებაზეც. არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია [redacted] მინდობილობის დადების უფლების ბლანკეტურ და განუსაზღვრელ შეზღუდვას, რომელიც მის საკუთრების უფლებაში საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაუშვებელ გაუმართლებელ ჩარევას წარმოადგენს.

ამრიგად, ირკვევა, რომ მოქალაქე [redacted], სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, სამოქალაქო/საკუთრების უფლება უკანონოდ შეეზღუდა, რადგან მას ამავე დაწესებულების დირექტორის მიერ უარი ეთქვა დავალების ხელშეკრულების (მინდობილობა) დამოწმებაზე იმ საფუძვლით, რასაც არ ითვალისწინებს კანონმდებლობა.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქე [redacted], რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა და მოთავსებული არის სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არ მიეცა შესაძლებლობა, დაედო დავალების ხელშეკრულება.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, რათა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ დამოწმდეს ამავე დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულის, [redacted], მიერ დადებული გარიგების ხელშეკრულება (მინდობილობა).

[19] იქვე. 595-598.

გთხოვთ, განხორციელებული რეაგირების შესახებ მაცნობოთ ამავე კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართის სახით გიგზავნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული მასალების ასლებს.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი